

20.06.2011

მემორანდუმი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთის მხრივ, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „აწსუ“), წარმოდგენილი რექტორის, დოქტორ გიორგი ღავთაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, დოქტორ შვექეთ ერჯან თუნჩის სახით, შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აგრეთვე ახალგაზრდა თაობების განათლებისა და დახელოვნების სფეროში სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

„მხარეები“ ხელს შეუწყობენ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში. აღნიშნულის განსახორციელებლად ისინი იღებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს.

„აწსუ“ უზრუნველყოფს:

- „უნივერსიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომელთა შრომების პოპულარიზაციას „აწსუ“-ში და მის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში
- „უნივერსიტეტის“ პროფესორთა საჯარო ლექციების წაკითხვას „აწსუ“-ში
- მრავალმხრივი სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად
- „აწსუ“-ს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას „უნივერსიტეტის“ თანამშრომლებისათვის

„უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს:

- „აწსუ“-ს მეცნიერ-თანამშრომელთა შრომების პოპულარიზაციას „უნივერსიტეტში“ და მის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში
- „აწსუ“-ს პროფესორთა საჯარო ლექციების წაკითხვას „უნივერსიტეტში“
- მრავალმხრივი სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით



ცენტრებთან საერთო კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად

- „უნივერსიტეტის“ საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას „აწსუ-ს“ თანამშრომლებისათვის
- მთელი რიგი მიმართულებებით ბაკალავრიატის ეტაპზე სტუდენტების მომზადებაში მხარდაჭერას
- „აწსუ“-ს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაბამისი სამეცნიერო ბაზითა და ხელმძღვანელობით

მუხლი 2

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ სტუდენტთა თანამედროვე პროგრამებით მომზადებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიმართულებით, რაც გულისხმობს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და ტრენინგების მოწყობას.

მუხლი 3

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი განახორციელებენ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის განვითარებასა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას.

მუხლი 4

მხარეები უზრუნველყოფენ საკუთარ კომპეტენციათა ფარგლებში სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნას, სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფასა და განვითარებას.

მუხლი 5

მხარეთა დოქტორანტების უზრუნველყოფა სამეცნიერო ხელმძღვანელებით და კვალიფიციურ კვლევაზე ორიენტირებული სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება.

მუხლი 6

მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტების სწავლის შედეგების ურთიერთალიარებას.

მუხლი 7

მხარეები ხელს შეუწყობენ ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ურთიერთთანამშრომლობას.

მუხლი 8

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.



მუხლი 9

მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რაც გაფორმდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 10

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება მემორანდუმის მხარეებთან.


მუხლი 11

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

„აწსუ“

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59

რექტორი, დოქტორი

 გიორგი დავთაძე



„უნივერსიტეტი“

თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი
მე-13 კმ. 2

რექტორი, დოქტორი

 შვეჩეთ ერჯან თუნჩი

